უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 25

2013 წ. "10" 10

ქ.თბილისი

შპს - ახალი უმაღლესი სასწავლებლის ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 56^2-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 56^3-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს - ახალ უმაღლეს სასწავლებელს (საიდენტიფიკაციო კოდი: 404916203) 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (კოლეჯი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 400-ით.
2. შპს - ახალ უმაღლეს სასწავლებელს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 10 ოქტომბრის №4 სხდომის ოქმის მე-5 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
ნინო ჩინჩალაძე

მდივანი
ანა ბახტურიძე

აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური	**საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება დარგის/სპეციალობის ან ქვედარგის/სპეციალიზაციის მითითებით**	**მისანიჭებელი კვალიფიკაცია**
ბაკალავრიატი	1. ბიზნესის ადმინისტრირება 2. ტურიზმი	1. ბიზნესის ადმინისტრირე-ბის ბაკალავრი; 2. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში